



მათემატიკა - V კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_

სკოლა, კლასი \_\_\_\_\_

თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_


ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

1) რამდენი წიბო, წახნაგი და წვერო აქვს 6-კუთხა პრიზმას? 7-კუთხა პირამიდას? რამდენკუთხაა პირამიდა, რომლის წიბოების რიცხვი 8-ით მეტია წახნაგების რიცხვზე?

2) როგორ შეიძლება წყაროსთან ყოფნისას 9-ლიტრიანი და 5-ლიტრიანი ჭურჭლების გამოყენებით დავაგროვოთ 6 ლიტრი წყალი? ამოხსნა წარმოადგინეთ ყოველ ჯერზე ამ ჭურჭლებში არსებული წყლის ოდენობის მითითებით.

9 ლიტრი	5 ლიტრი
••••	••••
••••	••••

3) მოცემული სურათის მიხედვით დაადგინეთ, პატარა კვადრატებისგან შედგენილი რამდენი ისეთი კვადრატი შეიძლება მოინიშნოს, რომელშიც იმდენივე გამოუქებული პატარა კვადრატი იქნება, რამდენიც არის მასში თეთრი კვადრატი.



4) თეა ხსნიდა ამოცანას, რომელშიც მითითებული იყო 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო სწორი. თეამ შეძლო მისი პოვნა, შეეცადეთ თქვენც მიაგნოთ ამ პასუხს ისე, რომ თავად ამოცანას არ გაეცნოთ. სავარაუდო პასუხებია:

ა) ტოლია 6-ის, ბ) ტოლია 13-ის, გ) არაა ტოლი ნულის, დ) ტოლია 7-ის ან 8-ის, ე) მეტია 15-ზე.

5) მოცემულ ჩანაწერში ყოველი ასო შეცვალეთ რაიმე ციფრით ისე, რომ ერთნაირი ასოები ერთნაირი ციფრებით შეიცვალოს, განსხვავებულები კი განსხვავებული ციფრებით და მიღებული რიცხვების შეკრება სწორი აღმოჩნდეს.

$$\begin{array}{r}
 \text{ს ი ნ უ ს} \\
 + \text{ს ი ნ უ ს} \\
 \hline
 \text{კ ო ს ი ნ უ ს} \\
 \hline
 \text{ტ ა ნ გ ე ნ ს}
 \end{array}$$

6) გია და გვანცა ასეთი წესებით თამაშობენ: მაგიდაზე 87 კენჭია, ბავშვები რიგ-რიგობით იღებენ 1, 2, 3 ან 4 კენჭს - რამდენიც მოესურვებათ, ოღონდ 4-ზე მეტს - არა. გაიმარჯვებს ის, ვისი სვლის შემდეგაც მაგიდაზე კენჭი არ დარჩება. თამაშს იწყებს გია, შეუძლია თუ არა მას სწორი თამაშის შემთხვევაში გამარჯვება? თუ გვანცას აქვს გამარჯვების შესაძლებლობა?

გისურვებთ წარმატებას !